პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

განათლება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 03

პროგრამის დასახელება:

ზოგადი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ყველას აქვს ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის.
ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და დეკლარირებულია როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი.
ბოლო წლებში განათლების სისტემის რეფორმირებაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში.
მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში, ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით. მიუხედავად აღნიშნულისა, კვლავ პრობლემად რჩება იმ მოსწავლეთა დაფინანსება, რომლებმაც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში ვერ დაძლიეს საბაზო/საშუალო საფეხური, სწორედ მათი ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ქვეპროგრამა „დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მხარდაჭერა“, რომელიც ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის დაფარვას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ის მოსწავლე:
ა) რომელმაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 12 წლის სწავლის შემდეგ ვერ დაძლია საბაზო საფეხურის ეროვნული ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე,
ბ) რომელმაც 3 წლის განმავლობაში ვერ დაძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური.
ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, პროგრამა ასევე ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეებისათვის სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფას. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისა და მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის - კვლევის ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს ტრანსპორტით უზრუნველყოფილნი არიან სკოლათა მესამედი მოსწავლეები (თუმცა, შემთხვევათა მხოლოდ 19%-ში ემსახურება სკოლის ტრანსპორტი ყველა სსსმ მოსწავლეს). სსსმ მოსწავლეებისათვის სასკოლო ტრანსპორტის არარსებობა მშობლების უმეტესობას არჩევანში საკმაოდ ზღუდავს და სკოლებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილიდან შედარებით შორსაა, ფიზიკურად ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის. საბოლოო ჯამში, სკოლის ფიზიკური გარემოს ნაკლები ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან მაკრო ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ინკლუზიური სწავლების დანერგვისა და განხორციელების პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა, ვინაიდან, ფიზიკური სივრცის დაბალი ხელმისაწვდომობა პირდაპირ აისახება სოციალურ მიმღებლობაზე. ფიზიკური გარემო, რომელიც არ ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს, ამ უკანასკნელებს აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში და ზრდის მასტიგმატიზირებელი აღქმების გაჩენის/გაძლიერების საფრთხეს. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში, ამ მიზნით ხორციელდება ქვეპროგრამა
„ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა “, რომელიც ითვალისწინებს ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურებას.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა	**262 650**	13 850	41 700	78 550	128 550
სულ პროგრამა	**262 650**	**13 850**	**41 700**	**78 550**	**128 550**

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ხელშეწყობილია ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2019 წელი (საბაზისო)	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
ხელშეწყობილია ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ქ, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	10	14	14	20	20	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ადაპტირებული სპორტული დარბაზების რაოდენობა			1	2	4	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც სწავლის გასაგრძელებლად მიიღეს დაფინანსება	0	5	10	15	15	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ზოგადი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 03 01

ქვეპროგრამის დასახელება:

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	13 850
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	**13 850**

ქვეპროგრამის მიზანი:

ბათუმელი მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის მიცემა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა სოციალური პროგრესისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლებისა და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების დაფინანსება/ ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: 1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება - ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართვისა და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებლად დაწესებულებამდე მისვლის და შინ დაბრუნების საშუალება. ბათუმის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლის ბაზაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიხსნა ინტეგრირებული კლასი აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისათვის.
სკოლაში ირიცხება ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 10 მოსწავლე, ასევე, სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის ბაზაზე, 2019 - 2020 წლიდან იხსნება ინტეგრირებული კლასი აუტისტური სპექტრის აშლილობის ბავშვებისათვის. სკოლაში ირიცხება ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 4 მოსწავლე. მოსწავლეთა ტრანსპორტირებას საჯარო სკოლები ვერ უზრუნველყოფენ. სწორედ ამ მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის გათვალსიწინებით, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია უზრუნველყოფს მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირება, შეიქნა ქვეპროგრამა „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა“. ქვეპროგრამა ითვალისწინებს, 2020 წლის განმავლობაში, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები ქ. ბათუმის N13 და N17 საჯარო სკოლების 14 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფას (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 და N17 საჯარო სკოლებამდე მისვლა და შინ დაბრუნება).

2. მოსწავლეთა დაფინანსება -
საქართველოში უზრუნველყოფილია უწყვეტი საყოველთაო ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში. მიუხედავად აღნიშნულისა, სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა აკადემიური შედეგები კვლავ გამოწვევად რჩება. სკოლის დამამთავრებელ გამოცდებზე მოსწავლეთა დიდ ნაწილს მინიმალური კომპეტენციების დადასტურება უჭირს და ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ვერ იღებს.
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია საბაზო საფეხურის ეროვნული ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, ან 3 წლის განმავლობაში ვერ დაძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ, სამეურვეო საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, შეიძლება აანაზღაუროს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ხარჯები.
ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, მოსწავლე ვერ ახერხებს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევას, შემდგომ აქვს სურვილი სწავლის გაგრძელების, ხოლო ოჯახს არ გააჩნია საშუალება სწავლისათვის საჭირო თანხა შეიტანოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. სწორედ ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია დაფინანსდეს მოსწავლის სწავლა, რათა მას მიეცეს სტიმული და შესაძლებლობა სამომავლო გეგმების მისაღწევად.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ მოსწავლეთა სწავლის დაფინანსებას, რომლებმაც ვერ დაძლიეს ზოგადი განათლების საბაზო/საშუალო საფეხური და აქვთ სწავლის გაგრძელების სურვილი.
ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება ერთჯერადი გასაცემლის სახით არ უნდა აღემატებოდეს „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრისს №476 დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტულ ვაუჩერს.
ქვეპროგრამის განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის ბენეფიციარის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, განაცხადების მიღებისა და განხილვის ვადები, ერთჯერადი ფულადი განაცემის გაცემის წესი) განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება	მოსწავლე	14	786	11 000
მოსწავლეთა დაფინანსება	მოსწავლე	5	570	2 850
სულ ქვეპროგრამა				**13 850**

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება	X	X	X	X
მოსწავლეთა დაფინანსება	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

ხელშეწყობილია ბათუმელი მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელება

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით დასაფინანსებელ მოსწავლეთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 5 მოსწავლის დაფინანსების შემდეგ, ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 5 მოსწავლეზე მეტის დაფინანსება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია ბათუმელი მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელება	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სატრანსპორტო მომსახურებით	14	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც სწავლის გასაგრძელებლად მიიღეს დაფინანსება	5	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი